ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №2649609

ნომერი: AR1410310

თარიღი : 05.06.2016

გაცემის თარიღი : 14.06.2016

გაცნობის თარიღი : 14.06.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფეიქრების I შესახვევი , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ჯუღაშვილი პ/ნ 01011008861
- თბილისი ლეხ კაჩინსკის ქ. N 9 ბ. 28

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის – სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1410310 განცხადებას, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი #01.11.19.005.039) ბეტონის ქარხანის განთავსებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს: მოცემულ საკადასტრო ერთეულზე (საკადასტრო კოდი: #01.11.19.005.039) არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (28.10.2015 წლის ბრძანება №2237050), საწყობის განთავსების მიზნით. შეთანხმდა სასაწყობე შენობის რეკონსტრუქციის (ნაწილის დემონტაჟი) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა (25.11.2015 წლის ბრძანება №2311832). იმ შემთხვევაში თუ, აღნიშნული დოკუმენტაციის შესაბამისად ნაწარმოები მშენებლობა დასრულებულია და მიღებულია ექსპლუატაციაში, საჭიროა ელექტრონული განცხადება ატვირთოთ ჩვენი სამსახურის ვებ გვერდზე, კერძოდ: http://tas.ge/–ზე შესაბამის ნომენკლატურაში: „მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები“, „მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა“. ხოლო, თუ მშენებლობა არ არის ნაწარმოები საჭიროა საკითხი დააყენოთ „მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებაზე“.
აქვე გაცნობებთ, იმ შემთხვევაში, თუ ობიექტი თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება მეხუთე კლასის შენობა–ნაგებობას მისი მშენებლობის ნებართვის სამივე სტადია თანხმდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან.

---

- კიდამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.